



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030443911577219

№ 04-598/ო

11 / მარტი / 2019 წ.

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ანგარიშგების ფორმის, ფორმის შევსების და წარმოდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 665 დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა), „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობისათვის გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის N 04-276/ო ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 03 ოქტომბრის N 01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილებზე შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში, ანგარიშგების ფორმა (დანართი N1);

ბ) ანგარიშგების ფორმის შევსებისა და წარმოდგენის წესი (დანართი N2).

2. დაევალოს სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტს (მ. ბეზარაშვილი):

ა) კოორდინაცია გაუწიოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს ამ ბრძანებით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელებაში;

ბ) უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებების ინფორმირება ამ ბრძანებით დამტკიცებული ღონისძიებების თაობაზე.

3. დაევალოს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს:

ა) გააცნონ აღნიშნული ბრძანება და ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართები სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის N04-276/ო ბრძანების მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს;

ბ) განახორციელონ კონტროლი ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჯეროვნად და ვადების დაცვით შესრულებაზე.


4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით („დეს“) სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სააგენტოს დირექტორის კურატორმა მოადგილემ (ლ. გოგოძე).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

თამაზ მოდებაძე

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში

სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების ანგარიშგების ფორმა

რეგიონი/რაიონი _____

შედგენის თარიღი „-----“, -----2019 წ.


მიმწოდებელი -----

N	მოსარგებლის სახელი	მოსარგებლის გვარი	მოსარგებლის კ/ნ	პროფესია	მიწოდებული დღეების რაოდენობა	ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომითი ანაზღაურება	მოთხოვნილი სუბსიდირების თანხის რაოდენობა	შედეგი	
								გრძელდება	შეწყდა/ დასრულდა
1									
2									
3									
4									
5									
6									
7									
8									
9									

მიმწოდებლის ხელმძღვანელი პირი -----

სახელი, გვარი, თანამდებობა

ხელმოწერა -----



ანგარიშგების ფორმის შევსებისა და წარმოდგენის წესი

1. ანგარიშგების ფორმა ივსება მიმწოდებლის მიერ.
2. ანგარიშგების ფორმის შევსებისას სავალდებულოა თითოეულ გვერდზე არსებული ყველა ველის შევსება გარკვევით და სრულად.
3. ანგარიშგების ფორმის შევსებამდე მიმწოდებელი ყურადღებით უნდა გაეცნოს „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 დეკემბრის N665 დადგენილებას და დადგენილების დანართებს 1.5 და 1.5.1.
4. ანგარიშგების შევსებულ ფორმას თან უნდა ახლდეს:
 - თითოეული მოსარგებლის კუთვნილი ვაუჩერის ქსეროასლი დამოწმებული მიმწოდებლის ბეჭდითა და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.
5. მიმწოდებელი ანგარიშგების ფორმასა და მასზე დართულ დოკუმენტებს წარუდგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმ ტერიტორიულ ერთეულს, რომელთანაც გააფორმა ხელშეკრულება.
6. **სააგენტოს ტერიტორიული ერთეული:**
 - ა) ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, აგზავნის მიღებულ დოკუმენტებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში;
 - ბ) სააგენტოს ცენტრალური აპარატიდან, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული ინსპექტირების ჯგუფის აქტის საფუძველზე აფორმებს ბრძანებით დამტკიცებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტს.
7. **სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი:**
 - ა) დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმას ადარებს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის # 04-276/ო ბრძანებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების მიმდინარეობის მეთვალყურეობისა და ინსპექტირების პროცედურების (დანართი N 6) და მის საფუძველზე გათვალისწინებული მეთვალყურეობის შედეგების ფორმას (დანართი N6.1);
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშგების ფორმას, მეთვალყურეობის ფორმასა და მონიტორინგის შედეგებს განსახილველად წარუდგენს სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 04-368/ო ბრძანებით დამტკიცებულ ინსპექტირების ჯგუფს.
8. **ინსპექტირების ჯგუფი:**
 - ა) მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება ინსპექტირების ჯგუფის აქტში, რომელიც გაფორმებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ეგზავნება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით.